№ 277
ოთხშაბათი, 22 დეკემბერი 1893

1877—1893

ИВЕРІА

№ 277
ოთხშაბათი, 22 დეკემბერი 1893

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ბაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად:
უნდა მიმართოთ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპიკი.

ბაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ხუთშაბათს, 23 დეკემბერს, გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი თავ. **გიორგი ვახტანგის ძის ბარათაშვილის** სულის მოსახსენებლად. **კნეინა ბარბარა გიორგის ასული ბარათაშვილისა შვილებითურთ** აუწყებს რა ამას ნათესავთა, ნაცნობთა და განსვენებულის პატივისცემის მსურველთ, სთხოვს მობრძანდნენ წლის წირვასა და პანაშვიდზედ დიდუბის ეკლესიაში, დილის 10 საათზედ. (1—1)

ანასტასია გიორგის ასული კერესელიძისა აცნობებს ნათესავთა, მეგობართ და ნაცნობთა, რომ 22 ქრისტეშობისთვეს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **ივანე ივანეს ძე კერესელიძის** სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზ , პანაშვიდი 12 საათ. (1—1)

ძეთევან ადამას ასული კოზიაშვილისა, ნატალია იოსების ასული და ანასტასია იოსების ასული ფოკრაძაშვილისანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი დისა თვისისა ხოლო მეორენი თვისის მეუღლის **ნატალია ადამას ასულის სულხანიშვილის** გარდაცვალებას, სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ პანაშვიდზედ 22 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ, ავლაბარში, კახეთის ქუჩაზედ, სახლი № 2. გასვენება მიცვალებულისა და დასაფლავება დილის 10 საათზედ წმ. მარინეს ეკლესიაში. (2—1)

„ИВЕРІА“
გამოვა 1894 წელსაც
იმავე პროგრამითი, როგორც წინად.

ბაზეთის დამარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ИВЕРІА“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 22 დეკემბერს,

ბენეფისი

გლ. ს. ალექსი-მესხიშვილისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების

დასის-მიერ

წარმოდგენილი იქნება.

I

პირველად ახალი პიესა

გულის თქმა

დრ. 4 მოქ. რაკშანინისა, თარგ. ნიკიტინისა

II

არც აქეთ არც იქით

ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, ნებიერიძისა, ბბ. აბაშიძე, ალფიანი, ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ

ტფილისი, 22 დეკემბერს

—

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საქართველოს ბევრს ადგილებში ძრიელ ნაკლები მოსავალი მოვიდა, არამც თუ წელს, არამედ შარშანაც. ცოტაოდენად რომ ეური ვთხოვოთ ხალხის ლაპარაკს მოსავლიანობის შესახებ, შეუძლებელია არ დავრწმუნდეთ, რომ საზოგადოდ ამ უკანასკნელ 10—15 წელიწადში მიწის მოსავალი ძრიელ ჭკლებულობს და ეს კლება და შემცირება დედამიწის მოსავლისა შედეგია მრავალ გვარის ძირითადის მიზეზებისა, რომელთაც ხანდისხან ხელს უწყობს ჭაგის უცაბედი ცვლილებაცა (გვალვა, ქარი და სხვა).

წლევანდელი მოუსავლობა უქადის დიდს გაჭირებასა და შიმშილს, არამც თუ საქართველოს კლებ-კაცობას, არამედ ერევნის გუბერნიისა და ყარსის ოლქის სოფლის მცხოვრებთაც.

რა თქმა უნდა, ამ ამბავმა ეურადღება მიიქცია და შეაფიქრა ჩვენი საზოგადოება და ეურნალ-გაზეთობა; ამ ამბავმა გამოიწვია ბაასი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში და, როგორც ამბობენ, ადმინისტრაციაცა სცდილობსო რაიმე წამალი დასდოს ამ უბედურებას.

მოუსავლობისაგან გამოწვეულს გაჭირებას, ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველთვის სცდილობენ იმისთანა წამალი მოუნახონ, რომელიც შეასუსტებს მარტო დროებით გაჭირების სიმწვავეს, და ძირეულ მიზეზების გამოკვლევას, და მეტადრე ამ მიზეზების თავიდამ აცილებას, ძლიერ ნაკლებად ათხოვებენ ხოლმე ეურს. თუნდა ეურადღებაც მიაქციონ, ეს ეურადღება მარტო ეურადღებად რჩება, იმიტომ რომ სამეურნეო პოლიტიკა მთავრობისა ძვირად მისწვდება ხოლმე ამ ძირეულ მიზეზებს.

მართალია, ამ ქამად რუსეთში არსდება სამეურნეო სამინისტრო, რომლის პროექტიც, როგორც გუშინ მოგვიტანა დეშემამ ამბავი, მოიწონა უკვე სახელმწიფო საბჭომ. მაგრამ [illegible], ახალი რეფორმები მეურნეობისა შეეხება ჯერ-ჯერობით მხოლოდ მარტო შიდა რუსეთს.

ჩვენის სამეურნეო საზოგადოების უკანასკნელი ორს კრებაზედ განხილულ იქმნა ახლანდელი შეგიწროებული მდგომარეობა ამიერ-კავკასიის გლეხ-კაცობისა, რომელიც გაჭირებაშია ჩავარდნილი მოუსავლობის გამო. კრება ორ-ჯელვე შეეხო მხოლოდ მარტო იმ საგნს, თუ რა დონისძიებით შეიძლება შესუსტება იმ მწვავე გაჭირებისა, რომელიც ახლა დამშეულ ადგილებშია შემჩნეული. სამეურნეო საზოგადოებამ გადასწყვიტა ვთხოვოთ მთავარ-მართებელს, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ საჩქაროდ დაეხმარონ გაჭირებულს მკვიდრსაო. საზოგადოებამ საჭიროდ სცნა, რომ დახმარება ადმოჩენილ იქმნას ამ სახით: ა) გაიაფდეს რკინის გზით ეურის გადატანა, ბ) გაიგზავნოს ხოლმე რკინის გზებით უპირატესად ის ეური, რომელიც მოუსავლობით დაზარალებულ ადგილებში უნდა წავიდეს, გ) გაიაფდეს მისვლა-მოსვლა, ან ამ აზრით დაარსდეს მეოთხე კლასი სამუშაოდ მიმავალ ხალხისათვის, დ) დაწყებულ იქმნას ისეთი სამუშაო საზოგადო საქმეები, რომელიც ფულის შეძენის წყაროს გაუჩენს დამშეულ ადგილების მკვიდრს. ეს უკანასკნელი აზრი აქვს სახელი საზოგადოებას, რომელიც სთხოვს მთავრობას, ახლავე დაიწყოს კახეთისა, ეუშისა და შემახიის რკინის გზის შტოების გაყვანა.

ყოველივე ეს თხოვნა დამყარებულია იმ უტყუარსა და ზეშმარიტს აზრზედ, რომ ამისთანა განწირულ დროში მთავრობამ უნდა გამოიწვიოს მკვიდრის თვით-მოქმედება; მთავრობა მოვალეა მხოლოდ შესაფერი მოქმედებით დაეკმაყოფილოს ერში დაბადებული ეუურვილი ამ თვით მოქმედებისა. ყოველივე სეხი და ქონებრივი დახმარება, რომელიც ხელში ეძლევა ხალხს, ჯერ ერთი რომ ავნებს მის ზნეობასს და მეორეც—უმძიმებს ვალის ტვირთს, რომელიც უიმისოდაც ძრიელ აწუხებს ჩვენს გლეხ-კაცობას.

გარდა ამისა, სამეურნეო საზოგადოებამ იმავე კრებაზედ მიიღო ბ-ნი ი. ს. ხატისოვის წინადადება და გარდასწყვიტა, ვთხოვოთ მთავრობას, რომ 1888 წლის კანონი ტყეების დაცვის შესახებ, შემოღებულ იქმნას სრულად და სავსებით ამიერ კავკასიისათვისაცაო.

მაგრამ ეს დონისძიება შეეხება იმ ძირეულ მიზეზებს მოუსავლიანობისას, რომელზედაც ჩვენ შემდეგ ვილაპარაკებთ.

ნიკ კავკასიძე

ალექსანდრე ყაზიბეგს

კავკასიის მთები შეირყნენ,
ყაზბეგ *) ღრეჩენდმა დაჩრდილა,
მოსწყვეთ დროშა მძლეველი
კლთა-შეკეცილ დასრულა;
მზე დაუნუნდა მთიელთა,
გდოვეს ზეწარმა დაჭყარა;
მოსწყვეს გული ნაქენჯი
ახლა სხვა სევდამ დაჭლარა:
შეიდი, მშობლისთვის ტანჯული,
ბედმა ბეჩავად მიჭეკარა!

—

ჯმუხა შუბლკეცილ, მსჯული,
სთამოდ ჩაჭვენეს მთიელნი:
„თავ-პირს ვიხოკდეთ ბეწკანი,
ესტირდეთ, ვიგლოვდეთ ყაზიბეგს!“
ლდეუჯა მოკალს მზაღოთი,
შენს სიფლაკს დაეგონება,
ტრემლსა დაკაფრქეკეს გმირულად,
გულ-დამჭენარს დაკედინება!..
ონოფრეს სულიც მაღალი
კარშემო მოკეფინება!

—

კარსკვლავი შენი მომავალს
ძნელად თუ დაუნენლდება!
შენი ხსოვნა და სახელი
სთამოდ კაილეკსება!
ფანდურს მკენესარეს ჩამოჭკარკს
მოსუცი, ალეფენდება;
ბეკრჯელ შენს სახელს წარმოსთქვიკს,
წარსული მოაგონდება:
მაჯა დაუწეებს ტემსს,
გულიკი დაეღონდება!..

გიგლა

ბ-ნმა ვალ. გუნიამ წაიკითხა შემდეგი ლექსი შ. მღვიმელისა.

ალ. ყაზიბეგს

ტრემლ-მორეულნი დაკეფერეთ
მოწყალეფენდენელის გულითა,
სკანმე ჩამოხსნილნი,
ალვსილნი სამრალეფითა.

*) მთა.

დაკინეფენ თვალები,
სმა არეისა სცემ, ალარა,
მრავალს სამწარეს მოკეთხრობს
შენი ეფლოო ჯალარა.
დაკტირით ერთის ეოფითა
დედი, ბატარა ეწერეთა;
ვინც-კი რომ იცნობს შენს სახელს,
შეკმნილა მკლოიალრეთა.
მაგრამ რას გარგებს ტირილი,
ტრემლის დენა და ვაკეს;
კამოგეესალმე სამეფლოდ,
ენა მეტეკეკელი დაკეს.
და აი ეხლა, ცოცხალს რომ
ეულს კაწამლაკედთ დარდითა,
ენდა შეგიმოთ ცხეკარი
ეკარეკენაია და ვარდითა.
კადმოგცეთ ეკანასკნელი
კამოთხოკეკნის სალამი
და ამით დაკეკოლდოდოდ
შენი ეკეკდი კალამი.
შენ მოჭკედი მხოლოდ სორცეთა,
სულითა აქეკე ტრიალებ,
შენს კეულის ცემის ტანჯულს ეზარს
კადეკ ბეკრს კაეუზიარებ.
შენი მხნე, მძლეკრი სატეკეკი
სამარკედად დადებულია
და მეგლი სიეკარულისა
ჩენს ეულში აგებულია.
ბეკრს ლაჩარს კაკეკეკცენ
შენს მოთხრობის ბერები,
ბეკრს კაეტკბობენ სამშობლოს
მისთეკის ჭირ-კამოვლილებ.
ბეკრს ქალს დაეფერენ ნამეკსა
„ფეთი“ და „ნენენ“ მანდილსა,
მოაძულებენ ეწეკო
ქტეკას და ეულის წადილსა.
ბეკრი ინატრენს შენს მზესა
ბედთან მაბრძოლო ძამაა,
ბეკრს ეულზედ დასხვრად მოსვდება
შენი ნასროლი ხსამა.
მშეიდობით!.. ეკანასკნელად
ეესალმებიან სწორენი,
ეკანასკნელად კამზერენ
მრავსხენე მთა და ეორები.
მშეიდობით, ენა მეტეკეკელო,
მშეიდობით, დედო მწერალო,
სამშობლოს წყალობის მეფრანლო,
მისია ეაკ-ბედის მეკრალო.

სია ზოგიერთის გვირგვინებისა

რომლითაც შემკული იყო კუბი განსვენებულ ალ. ყაზიბეგისა, ზედ წარწერებითურთ:

ალექსანდრე ყაზიბეგს
ოდესის პროფესორები და სტუდენტები
დაღონებულსა მთის ხალხსა
სად-ღა ვინ გაახარებსა!..

—

ქართველოთაგან
ვერცხლის გვირგვინი ა. ყაზბეგის სურათით შავს სამგლოვიარო ბალიშზე

რაც ერთხელ ცხოვლად
სულს დაჩნდების,
საშვილი-შვილოდ გარდაიცემის!

—

ალექსანდრე ყაზიბეგს

მოსკოვის ქართველობა

კაცი ის არის, ვინც მამულს,
ენტრფის და ეთაყვანება...
ვინც დასთხეეს მისთვის წმიდა სისხლს,
მოწამეს დაეგვანება.

—

ალექსანდრე ყაზიბეგს
კიევის სტუდენტები
წუთის სოფელო! უფალმა
შეგიმკოს ათას ფერადა.
ერთი რო კარგად მოაწყე,
ცხოს რად არ აგდებ ფარადა.

—

ალექსანდრე ყაზიბეგს
ბათუმის ქართველობა
ხალხის გულის ტკივილის ნიჭიერს
გამომბატველს.

—

ალექსანდრე ყაზიბეგს
ბაქოს ქართველები
ოღონდაც ჩვენი ქვეყანა
კეთილზე დაამყარეო
და მაშინ თუნდა იმ წუთში
გულს მიწა მომაყარეო!..

—

ალექსანდრე ყაზიბეგს
კავკავის ქართველობა
ცასაკ-კი შავი ჩაუცვამს
მთლად იმდუღრება ქვეყანა.

—

ალექსანდრე ყაზიბეგს
ტფილისის ქართველ ასოთ-ამწყობთაგან
მოკვდა და თვისის ნაწერით
აწ ისევ საქმობს მკვდარია.

—

ალექსანდრე ყაზიბეგს
განჯის რკ. გზის სადგურის ქართველთაგან
კაცი უნდა კაცად იყვეს:
სანთელსავით თვით დაიწვეს
და სხვას-კი გზას უნათვიდეს...

—

ალექსანდრე ყაზიბეგს
თელავის საზოგადოება
შენ გვასწავლიდი:
მტერთან პირდაპირ მტრობასა,
მოყვასთან—მეგობრობასა.

—

ალექსანდრე ყაზიბეგს
რკ. გზის სახელოსნოსა და დეპოს მოხელენი
ტფილისში
დაუვიწყარს თავ-განწირულს მუშაკს.

—

სანდრო ყაზიბეგს
განვლილ ტანჯვათა მოწამე.
ვალიკო გუნია

—

შენის პირველ ნაბიჯის მოწამე.
ანდრია ღულაძე

—

ალექსანდრე ყაზიბეგს
ნიჭის პატივის-მცემელთაგან
ქუთაისში

ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ალ. ყაზიბეგის გვირგვინებისათვის ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან 20 მან., ქუთათაურ პატივისმცემელთაგან 26 მან., განჯის რკინის გზის სადგურიდგან 30 მან., ბაქოდგან ბ-ნ ამაშუყელისაგან 40 მან. და თელავიდგან ბ-ნ მიხ. ცისკარაშვილისაგან 30 მან.

*** ქუთაისიდგან გვაცნობებენ, რომ იქ კვირას, 19 დეკემბერს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში მისის ყოვლად უსამღვდელოესობის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის ყაზიბეგის სულის მოსახსენებლად.

*** თელავი: 14 დეკემბერს თელავის ღვთისმშობლის ეკკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ჩვენის უანგარო მუშაკის და გამოჩენილის ბელეტრისტის ა. უაზიბეგის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს მრავალი ქართველობა დაესწრო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ თ. კონსტანტინე ივანეს ძეს ბუხრან-ბატონს გამოუთქვამს სურვილი, თავის ხარჯით ძეგლი აიგოს სოფ. სტეფან-წმიდას განსვენებულ ბელეტრისტის ა. ყაზიბეგის საფლავზედ.

*** გავახსენებთ მხოლოდ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, ოთხშაბათს, 22 დეკემბერს, ქართულ თეატრში დანიშნულია ბენეფისი ქართულის სცენის ნიჭიერის დრამატიულის არტისტის ბ-ნ ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილისა. წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი პიესა „გულის თქმა“, თხზ. რაკუშნინისა, რუსულიდგან ნათარგმნია ნიკიტინის მიერ და ერთმოქმედებიანი ვოდევილი „არც აქეთ, არც იქით“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ქართულის დასის საუკეთესო არტისტები. რაღა თქმა უნდა, საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ ჩვენის სცენის დამამშვენებელის ბენეფისს.

სასურველია, რომ ეს არტისტი ჩვენს სცენას არ მოშორებოდეს და მკვიდრად მოეკიდებინოს აქ ბინა.

*** ორშაბათს, 20 დეკემბერს, „ტფილისის სობრანიის“ სადგომში გამართული იყო ჩვეულებრივი კონცერტი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. ამაშიმეს წაიკითხა სომხური სცენა „ოჰანეზას ნადირობა“, შემდეგ სარაჯიშვილმა რამდენიმე პიესა დაუკრა ვიოლონჩელზედ, თ. ნ. ერისთავმა «განდეგილი» წაიკითხა და ისე მოეწონა საზოგადოებას მისი მშვენიერი კითხვა, რომ რამდენჯერმე გამოიწვიეს და კიდევ რამდენიმე ლექსი ათქმევინეს, ქ-ნმა პლატონოვისამ რომანსი იმღერა რუსულ ენაზედ, ქ-ნმა მ. ძნელაძისამ მშვენიერად სიმღერა რამდენიმე საგალობელი ქართულსა, რუსულსა და იტალიანურს ენაზედ, ბ-ნმა მაქსიმოვმა რამდენიმე პიესა დაუკრა როიალზედ; ბ-ნმა ვასილიევმა ვიოლონჩზედ დაუკრა რამდენიმე ჰანგი და ორივემ აღტაცებაში მოიყვანეს საზოგადოება; თავ. გ. დიასამიძემ ლამაზად წაიკითხა ერთი ადგილი „ფორნიკე ერისთავიდგან“ და რამდენიმე ლექსი, კ. მესხმა იმერული სცენები სთქვა და ეხვ. საზოგადოება კონცერტში მონაწილეთაგან აღტაცებაში მოდიოდა, ზოგიერთებს თქმული და ნამღერი განამეორებინა. დასასრულ, კონცერტს შემდეგ, ცეკვა გაიმართა, რომელშაც ღამის სამს საათამდე განეგრძო; კონცერტს დიდძალი რჩეული საზოგადოება დაესწრო და ჩვეულებრივად ისე მხიარულად და მშვენივრად ჩაიარა, რომ მთელი იქ დამსწრე საზოგადოება დიდად მადლიერი დარჩა.

*** ამ დღეებში პეტერბურგიდგან მიღებულ იქმნა რვა-ცხრა წერილ შემდეგ, ძველი ნაწილებიანი ღვთისმშობლის ხატი და ჩუქურთმით გამოქანდაკებული ჯვარი ბზის ხისაგან. ესე ორივე სიწმიდენი ეკუთვნიან უძველეს დროს ქრისტეანობისას საქართველოში და ეკუთვნის დავით გარესჯის უდაბნო. ჯვარის ჩუქურთმა საცვიფრო ხელოვნებით არის ნაკეთები. ესე სიწმიდენი ამ დღეებში გაიგზავნება დავით გარესჯის უდაბნოში დასაცველად.

*** რკინის გზის მოხელეთა შორის შეგროვილ იქმნა ჩემ მიერ სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ 16 მან. და 50 კაპ., რომელსაც ამასთანავე ვგზავნი. აი სია შემომწირველთა:

X-საგან 1 მან., ი. ცაგარელი 1 მან., ა. დეკანოზიშვილი 1 მ., ა. ზაქარაშვილი 1 მ., ი. ალერწიანი 1 მან., კვარცხელია 1 მ., ბეთანოვი 1 მ., ქ. ნ. ...ი 1 მ., ...ანი 1 მ., უ. ა. გაბუჩია 1 მ., ე. ჩხარტიშვილი 1 მ., ნ. ჩიკოიძე 50 კ., ს. ჩიხლაძე 50 კ., შაფათავა 1 მან., გ. მურადაშვილი 1 მ., ხუციძე 1 მ., თუხარელი 1 მ., პ. ყიფიანი 50 კაპ. სულ 16 მ. და 50 კ.

ნ. ახვლედიანი

*** სუფსა (გურია): ეს სოფელი ახალი სოფელია. რკინის გზის

ფელეტონი

იმერეთის დედოფალი მარიამი

(ნაამბობი კ. ა. ბოროზდინისა)

(დასასრული *)

თვით ხელმწიფე, ორივე იმპერატრიცანი და დიდნი მთავარნი ხშირად დაიარებოდნენ ხოლმე დედოფალთან. ხელმწიფე ზოგჯერ საათზე მეტსა რჩებოდა დედოფალთან სალაპარაკოდ.

ერთხელ ამისთანა ლაპარაკის დროს დედოფალმა გაბედა მოეხსენებინა ხელმწიფისათვის თავის დიდი ხნის სათხოვარი.

„ეხლა, როდესაც ჩემი უბედური ქმარი ცოცხალი აღარ არის, დიაწყო დედოფალმა, მოიღეთ მოწყალება, ხელმწიფეო, და მიაქციეთ თქვენი ყოვლად მწყალობელი თვალი იმ უბედურ გლეხს, რომელიც აგერ ათი წელიწადია იტანჯება შორეულს ციმბირში. მართალია, ჩემის ქმრის გაქცევასა და ღალატს ხელი მოუმართა, მაგრამ ეს მოახდინა მან უსაზღვრო თავდადებისა და ერთგულებისა გამო თავის მეფისადმი. მე დიდად ვიტანჯები მისის უბედურებით, იგი ძალიან ძვირფასია ჩემთვის და ჩემი გულის მახლობელი და ამისათვის ვბედავ გთხოვოთ, ხელმწიფეო, მისი შეწყალება. ამბიციე, ხელმწიფეო და დაამბრუნეთ ციმბირიდან, რომ შევიძლო მისი მოვლა-პატრონობა“.

ხელმწიფეს ცრემლი მოერია თვალთ ამა მუხლ-მოდრეკით დედოფლის თხოვნაზედ. მან წამოაყენა იგი და იქვე აღუთქვა ერთგულის მსახურის სარალიძის დაბრუნება დაუყოვნებლივ.

ამას შემდეგ ხელმწიფე მალე წაბრძანდა პეტერბურგიდან იმპერიის შუაგულ ქალაქებისაკენ და დედოფლის ცხოვრება ისევ ისე უჩუმრად და ერთგვარად მიმდინარეობდა; მხოლოდ ხანდახან გაცხოველდებოდა ხოლმე ძვირფასის მსახურის მოლოდინით. მაგრამ ეგ მოლოდინი ამაო იყო. როგორც აცნობეს, სარალიძე სადღაც დაიკარგა ციმბირშიო და ამაზედ გამართული მიწერ-მოწერიდან ვერც-კი შეიტყეს საცოდავი ცოცხალი იყო, თუ არა. გავიდა ნახევარ წელიწადი, გავიდა წელიწადი და არაფერი ამბავი არა ისმოდა-რა და დედოფალმა კიდეც გადაწყვიტა იმედი მისის დაბრუნებისა; ამისათვის თავის ლოცვებში ქმართან ერთად იმასაც იხსენიებდა.

ერთხელ მოახსენეს—ვიღაც უცნობი მოსულა, საწყლად ჩაცმული ბერი კაცი და თქვენს ნახვასა ნდომულობსო. რაკი დედოფლის უნდა მოწყალე გული ყველამ იცოდა, ამისთანანი ბევრი მიდიოდნენ მოწყალების სათხოვნელად და დედოფალმაც უბრძანა შინ შემოიყვანეთო. ბერი კაცი შემოვიდა და დედოფლისთვის ერთი შეხედვა საკმარისი იყო, რომ სარალიძე ეცნო. ხმის ამოუღებლივ გაექანენ ერთმანეთისაკენ, გადაეხვიენენ და დიდხანს ქვითქვითებდნენ ასე. ეგ წამი ორივესთვის დიდად სასიხარულო იყო. სასიხარულო მღელვარებისაგან პატარა რომ დამშვიდნენ, ერთგულმა მსახურმა მეფის სოლომონისამ უამბო დედოფალს თავისი თავგადასავალი, რაც-კი რამ გადაჰხედოდა ათის წლის ტყვეობაში.

ტფილისიდგან გაჰგზავნეს აღმოსავლეთ ციმბირისაკენ, სადაც ერთს მივარდნილს პატარა ქალაქში რამდენიმე წელიწადი გაატარა პოლიციის მხედველობის ქვეშ; მერე ნება მისცეს ციმბირის სხვა ქალაქებში მიმოსვლისა. იგი ეძებდა სამუშაოს სხვა-და-სხვა ალებ-მიცემის კაცებთან და ერთიდან მეორესთან მალ-მალ გადადიოდა. პირველში რუსულის ენის უცოდნელობა დიდად უშლიდა ხელსა, მაგრამ ნელ-ნელა შეისწავლა და წერა-კითხვაც-კი ისწავლა. ერთის ადგილიდგან მეორეზედ ბედმა იმდენი აწყვიტა საცოდავი, რომ ბოლოს დასაველეთ ციმბირში გაჩნდა და მადნებზედ იწყო მუშობა. მიზეზი ეს იყო, რომ დიდხანს ვერ იპოვეს აღმოსავლეთ ციმბირში და ამ ორის თვის წანად მიაგნეს ეკატერინებურგში, გამოუცხადეს შეწყალება და პეტერბუგამდე გზის ხარჯიც მისცეს. ციმბირის მკაცრ ჰავას სარალიძე არ იქმნა ვერ შეეჩვია; ხშირად თითო თვეობით ავად იყო წოლით და ეხლაც საშინელი ხველა ახრჩობდა და საქმეს უშარებდა.

თვალთ ცრემლით მოისმინა დედოფალმა ერთგულის მსახურის ამბავი და ერთხელ კიდევ მოეხვია და დაჰკოცნა. მერე გაიყვანა მისთვის დანიშნულ ოთახში და დაბინავა; აქ ყველაფერი მოუმზადეს, რომ მოხუცს არაფერის ნაკლებულობა არ ეგრძნო, მისი ბარგიც გადმოიტანეს სასტუმროდგან. სადილს შემდეგ სარალიძე აბანოში წავიდა, ეს ჩვეულება რუსეთში მიიღო. სალამო ხანს ისევ გაიბეს ხანგრძლივი ბაასი შუაღამემდე.

დედოფალმა უამბო გულის ჩამოუთქვი ბედი თავის უბედურის ქმრისა, მისი სიკვდილი, ხელმწიფისა და მის სახლობის უხვი მოწყალება. „ახლა, ივანე, ხომ ჰხედავ, რომ ჩვენს საერთო მწუხარებაში ღმერთმა ხელი არ აიღო ჩვენზედ და ბოლოს ისევ ერთად შეგვყარა, უბრძანა დედოფალმა; ეხლა შენზე ძვირფასი კაცი ქვეყანაზე არ გამაჩნია; დავიწყე შენი განვლილი უბედურებანი, ვიოლოთ ერთად და ჩვენი სიმწარით სავსე დღენი ერთად დავასრულოთ. ეხლა შენ ლუკმა პური სახრუნავი სადგურის გამო გაშენდა. ეხლა 100 კილომეტე იქმნება აქ. გვაქვს საკუთარი ეკკლესია, სამრეველო სკოლა. შევიძინეთ თ. გურიელთაგან ცოტა-ოდენი მამულიც. მაგრამ ახლა ამ მამულის გამო დიდი დავიდარაბა ატყდა. ერთი მონაწილეთაგანი გვედავება, საერთო და განუყოფელი მამული რად იყიდეთ, მე არ მინდა, რომ მანდ იდგეთ, გადასახლდითო. ვართ ერთს გაჰირვებაში და არ ვიცით, როგორ იქმნება ჩვენი საქმე.

აცივდა აქეთაც. დეკემბერს თოვლ-ქარი მოჰყვა და ყელის ტკივილიც ზედ დაერთო. ყელის ტკივილმა რამდენიმე სული უკვე იმსხვერპლა.

ამ დღეებში ერთი უცაბედი უბედურება მოხდა: კ. შარაშიძის ოჯახში ცეცხლი წაეკიდა პატარა ყმაწვილს იმ დროს, როცა დედ-მამა მისი სახლში არ იყო და სულ დაიწვა-

*** კავკავი: მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ კავკავის ეპისკოპოსმა ვლადიმირმა ერთი ფრიად კეთილი და სასარგებლო საქმე ინება ამ დღეებში: უბრძანა აქაურ სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ბ. ნ. ფხაკაძეს ყოველ კვირა-უქმე დღეს საღამოობით ესაუბრე კავკაკის ქართველობას ქართულ სკოლის შენობაში მათს დედა-ენაზე სხვა-და-სხვა საღვთის-მეტყველო და საზნეობო საგნების შესახებაო. მართლაც ბ-ნი ნ. ფხაკაძე ყოველ კვირა-უქმე დღეს ესაუბრება ხალხს, რომელიც დიდის სიამოვნებით შეიგება [illegible] ლებას. საუბრის გათავების შემდეგ, მასწავლებელი სკოლისა აგალობებს თავის შეგირდებს ქართულად. ეპისკოპოსი დაჰპირდა ქართველობას, თუ შეეკითად ილითა საუბრების მოსასმენად, საკუიარს მღვდელსაც დაგინიშნავთ და როცა ახალს ტაძარს ვაკურთხებთ, თქვენ ძველს დაგითმობთ და იქ ქართული წირვა-ლოცვა გექმნებათ.

აღარა გაქვს; ხვალ დილით წავიდეთ ყველა მწუხარეთა ნუგეშის ღვთისმშობლის საყდარში, ვაწირვინოთ და პანაშვიდი გადავახდევინოთ სოლომონისათვის. ახლა წადი და დაიძინე, შენ დასვენება გეტირება“.

დედოფალმა თვით მიაცილა სარალიძე მის ოთახის კარამდე და გამოეშვიდობა, მაგრამ რას მოიფიქრებდა, თუ ეს ნახვა ერთგულის მსახურისა უკანასკნელი იქნებოდა...

დილით დედოფლის პირის-ფარეში შევიდა მოხუცის გასაღვიძებლად, რომ დედოფალთან ერთად წირვაზე წასულიყო, და უსულოდ დახვდა, უკვე გაცივებული... იმ ღამეს სარალიძე გარდაიცვალა გულის ფრიალისაგან.

ძნელია კაცმა წარმოიდგინოს დედოფლის მწუხარება ამ ახალის უბედურებისა გამო. ბედმა ესე უცაბედ შეუბრალებლივ მოსტაცა ერთადერთიღა ძვირფასი არსება. ეს უბედურება დედოფალმა ვერ აიტანა და რამდენისამე თვის შემდეგ თითონაც მიიცვალა.

საფლავი დიდი ღვთის-წყალობა იყო ტანჯულისათვის...

ესე მოთხრობა ნამბობია ოთხმოცის წლის მოხუცის, დედოფალის მარიამის თანამედროვის, უგანათლებულესის თავადის გრიგოლ ივანეს ძის დადიანისაგან.

პ. ცხვილოელი

18 დეკემბერი

*) იხ. „ივერია“, № 276. (ეს ამბავი დაბეჭდილია ფურნალ „Нива“-ს მე-XI წიგნის დამატებაში).

*** სოფ. ქარელი, 11 დეკემბერს. ჩვენის სოფლის საზოგადოება დიდადა სწუხს ჩვენის საყვარელის და დაფფალავის ბელეტრისტის ალექსანდრე მიხეილის ძის ყაზიბეგის უდროოდ დაკარგვას. დღეს, შემდეგ წირვისა, მღვდლებმა: მცხვედაძემ და ილ. ედილაშვილმა გადიხადეს პანაშვიდი ალექსანდრე ყაზიბეგის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დესეწრენ: თავ. ციციშვილები, სკოლის შეგირდები და მრეველი.

*** ახალ-სენაკი: „სამეგრელოს წიგნთ-საცავის და სამკითხველოს“ დამაარ ებელი კრება არ შესდგა თერმეტ ამ თვეს. კრება გადაიდვა თორმეტისთვის, მაგრამ არც მაშინ მოხერხდა და თითქმის იმედიც დავკარგეთ, რომ ამ საქმეს როდისმე შემდეგში მაინც ეშველოს რამე.

*** სოფ. ხორში (სამეგრელო): ამ თვის 10-ს ჩვენს სოფელში ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი მოხდა. ერთი ამ სოფლის გლეხი, გვარად შარტავა წალეს თურმე ლესავდა ეზოში. ამ დროს გამოსულა ამ კაცის უფროსი ვაჟიშვილი, სულით ავადმყოფი მიჰპარვია ცულით ხელში და, რაც ძალი და ღონე ჰქონია, დაურტყამს კისერში საწყალის მამისთვის. მამას ერთი-კი დაუყვირნია მოვკვდიო და სული განუტევებია. მამის ხმაზე უმცროსი გასთხოვარი ქალი გამოვარდნილა სახლიდან, ამისთვისაც ოხუცდამეებია გიჟს ცულის დაკვრა, მაგრამ ქალი გაქცეულა; უფროსს და გაუგონია ეს ყვირილი, მოუნდომებია მიშველება, მაგრამ გიჟი დაბრუნებულა და ცული ახლა უფროს დისთვის დაურტყამს და ამასაც იქვე განუტევებია სული. გიჟი შეიპყრეს და დაპატიმრეს.

*** სოფ. ნატოჩაო (სენაკის მაზრა): ამ თვის თორმეტს ქურდებმა გაუტეხეს სამზარეულო ერთს აქაურს მცხოვრებს და გაზიდეს, რაც რამ მოხვდათ ხელში. ამას წინად კ. ხ—ას საჯინიბო გაუტეხეს და ცხენი მოჰპარეს. მ. ლ—ასაც მოჰპარეს ცხენი; მ. კ—იას მოჰპარეს ორი ცხენი. დაკარგულის ცხენების ძებნას შეუდგნენ პატრონები, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ დაკარგული.

ჩვენკენ ამ ჟამად ცუდი ამინდებია. ბუნება ჭინჭყლიანია და საკმაოდ ცივა. ყინვები დიიწყო.

დამაგვირდი

ისეთი სიმდერდე შეიმენე, რომელსაც ქურდები ვერ მოგპარავენ, მტარვალნი ვერ წაგართმევენ, რომელიც სიკვდილს შემდეგაც შენ დაგრჩება, არასოდეს არ იკლებს და არ ისრწნება.

ინდოთა თქმულება

**

კეთილის ქმნელს ადამიანს ჯერეს უნდა ჰქონდეს! უგუნურს კაცს ამისი ნიჭი არა აქვს.

პომპადური

**

ეზრის დამძღვეს და დამარცხეს მხოლოდ ჯერეთი შეიძლება; თოფი და ზარბაზანი ეზრს ვერაფერს უზამს.

რიგავ ოლი

კორესპონდენცია

დარუბანდი. ამ.ს წინად „ივერიაში“ მოხსენებული იყო, რომ აქ ავის თვისების ციება ვრცელდება, რომელიც რამდენისმე დღის შემდეგ სიკოცხლეს უსპობს ადამიანსო. ამ არა სასიამოვნო ამბავს ეხლა სხვა უნდა დავუმატოთ: ციებას ყელის ტკივილიც თან მოჰყვა და მუსრს ავლებს ბავშვებს. ამ უკანასკნელს სენს სხვა უბედურებაც დაერთო. ერთ აქაურ მცხოვრებს, რომლის ეზოშიაც ერთად-ერთი რუსული წმინდა ალანია გამართული, საუბედუროდ, ყელის ტკივილით ბავშვი მოუკვდა. რადგანაც ამ ალანაში დიდძალი ხალხი დადის, ამისთვის ადგილობრივმა პოლიციამ საჭიროდ დინახა ალანის დაკეტა ზემოხსენებულ სენის გავრცელების ასაცილებლად. ადგილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაშია ჩაადგებდა აქაურ მცხოვრებს ეს მოულოდნელი გარემოება. მცხოვრებნი იძულებულნი შეიქნენ თათრების ალანაში ეარათ, მაგრამ აქაც ახალი უბედურება გამოტყვრა. თათრების ალანა მეტისმეტად უსუფთაოა, ბინძურია; ჯერ ერთი—წყალი არ ვარგა; ისეთი აყრილებულია, რომ გულს ურევს ადამიანს, მეორე კიდევ ის გახლავთ, რომ „ნომრები“ უსუფთაოა და »განსპეტაკებულ“ ადამიანს არ შეუძლიან ისე ჩაიცვას ტანისამოსი, ხელმეორედ არ გაუკუქყიანდეს. ამას კიდევ ჯანი გავარდეს, რომ ზემოხსენებულ ალანაში სნეულები აო დადიოდნენ. ეს ვეკატონები ჭფიქრობენ, რომ მათი სნეულება სხვას გადაედება და თამამად ბანაობენ იმ ნომრებში, სადაც მათ შემდეგ ჯანსაღი ადამიანები შედიან, რომელნიც განშფენდის მაგივრად ავად ხდებიან. ამ უსუფთაობის გამო ამას წინად თათრების ალანაში სამი ჯან-მრთელი ადამიანი საეკვო სნეულებით გახდა ავად. ამ მოულოდნელმა ამბავმა თავ-ზარი დასცა აქაურებს. მოდი და ნუ შეშინდები!.. არ წყავალ ალანაში-და ეუკეი გაწუხებს, წახვალ-და სენი რამ შეგეყრება. არიან ამ ყოფაში ქალაქის მცხოვრებლები გულ-ხელ დაკრეფილები და არავითარ ღონისძიებას არ ჰხმაროებენ, რომ როგორმე საშიშარი სენი თავიდგან აიცილონ და თავის არა სანატრელ მდგომარეობიდგან რაც შეიძლება აღრე გამოვიდნენ.

ნუ თუ ადგილობრიენი ამ გაპირების დროს გულ-ხელ დაკრეფილნი უნდა ვიყვნეთ. ნუ თუ აქაურ ექიმებს თავის მოვალეობად არ მიიჩნიათ ამ ექიმები ჩაეროინ და ორიოდე საათი შესწორონ საზოგადო საქმეს?

დარუბანდელი ქართველი

კავკაზი, 16 დეკემბერი. ჩვენის იმერეთის ბელეტრისტის ა. ყაზიბეგის უდროოდ გარდაცვალებამ დიდი თავზარი დასცა მთელს კავკაველ ქართველთს. ყველა,დიდი, პატარა, სწავლულნი უსწავლელი, ვინც-კი იცნობდა განსვენებულს პირადად ან ნაწერებით ყველა გლოვობს და სწუხს სახელოვანის მწერლის უჯროოდ გარდაცვალებას. არ ვგონებ, იმდენი პირადად ნაცნობნი ჰყოლოდეს განსვენებულს სადმე საქართველოს სხვა კუთხეში, როგორც კავკაზში; აქ თითქმის ყველა იცნობდა პირადად განსვენებულს; ხშირად ავადმყოფობის დროსაც კითხულობდნენ, სანდრო მორჩა, თუ ისევ ავად არი-სო. განსვენებულის გარდაცვალება კავკაზში შევიტყეთ 11 დეკემბერს ტფილისიდგან გამოგზავნილ დეპეშით კავკავის სკოლის სამზრუნველო კომიტეტის თაკსმჯდომარის ეროთეოს სიდომონ ერისთავის სახელზე. ამ თავზარ დამცემ ამბის შემდეგ კავკავის ქართველობა, რომელიც იმ ჟამად ქართულ სკოლაში იყო თავშეყრილი, გაემგზავრა ოსების საყდარში, სადაც გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად რუსულად ქართულის გალობით.

დიაღ, გამოუთქმელია ის მწუხარება, რომლითაც ხალხი იგლოვს თავის ჭეშმარიტის შვილის უდროოდ გარდაცვალებას. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ცხოვრებაშივე დატანჯულო, ჭეშმარიტო მამულის შვილო და ჩვენის ღარიბის ლიტერატურის დედა ბოძო ალექსანდრე! შენ საუკუნოდ უკვდავი დარჩები შთამომავლობის ხსოვნაში და ჩვენკი შენი დამკარგველნი ვინუგეშებთ იმ იმედით, რომ

«Не бездарна та природа,
Не погибъ еще тотъ край,
Что выводитъ изъ народа
Столько славныхъ то и знай?“

საუკუნოდ განისვენე უკვდავო მოღვაწევ სამშობლო ქვეყნის წიაღში, რომელიც პატივით მიგიღებს როგორც ღირსეულს შვილს.

ლ. ბოცვაძე

ბაკური. 17 დეკემბერს

წერილი რედაქციის მიმართ

მაისში ბათუმელმა ქართველებმა სამღვთო გადავიხადეთ „თამრის ციხის“ მახლობლად. ჩვენ ელებრიეს მხიარულს სადილზედ გამართა ხელის მოწერა და შეგროვდა ნ. ბარათაშვილის ფონდის სასარგებლოდ 40 მან., 20 კაპ. ეს ფული გარდავეცით თქვენს რედაქციაში გამოსაგზავნად ერთს ჩვენს ამხანაგს ბ-ნს ი. მე—შვილს. მაგრამ დღემდე ამ ფულის ამბავი არ წაგვიკითხავს გაზეთში. სასურველია, ვიცოდეთ, რატომ აქამდე ეგ ფული არ წარმოუდგენია იმას, ვისიც ჯერ არს.

დამსწრე-თანანი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

გაზეთ „Рус. Жизнъ“-ში გადაბეჭდილია შემდეგი წერილი გაზეთ „Тиф. лист.“-იდან:

კავკასიონის მთის მცხოვრებნი სრულიად გაუნათლებლები არიან და ამის წყალობით ამ ქვეყანაში გაჩნდნენ მკითხავები და ქადაგები გამრავლდნენ, რომლებიც ხალხსა სარცევენენ. დაეცემა ხოლმე რომელიმე ასეთი ქადაგი სადმე ეკლესიაში და უბრძანებს ვისმე რომელსამე წმინდანის სახელით, ხარი ან ძროხა დაკალო.

შემდეგი შემთხვევაც-კი ყოფილა თურმე ერთი კაცი ქადაგად დაეცა, და ბძანა, ამა და ამ კაცის ცოლი მომგვარეთ, ცალკე უნდა მოველაპარაკო და სწორე გზაზედ დავაყენოვო. ამბობენ, რომ ეს ბძანება თვით ამ ქალის ქმრმა შესასრულა და თითონ მიჰგვარა თავისი ცოლი. ყველაზედ უფრო სამწუხარო ის არის, რომ მდაბიო ხალხს სწამს ამ მკითხავ-ქადაგების ძალა და თითონვე იფარავს ამათ სამართალისაგან. მოსაკლობისა ანუ რომელსამე საზოგადო უბედურების დროს ხალხი ყოველთვის ამათ მიმართავს ხოლმე საშველად. მკითხავ-ქადაგნიც ამითი სარგებლობენ და ხალხსა სცარცევენ.

ამ ამბავს გაზეთი „Рус. Жизнъ“ დასძენს.

თუ მართალია, გლეხი კაცს თავისი ცოლიც-კი თითონ მიჰყავს მკითხავ-ქადაგთანა, ადვილად წარმოსადგენია, რამდენი ძალ ღონე მოუპოვებიათ ამ მკითხავ-ქადაგებს და როგორა ჰრყვნიან ხალხსა.

საყურადღებოა ვიცოდეთ, რომელ წყაროგანი უსარგებლია გაზეთ „Тиф. Лист.“-ს რომ ზემოხსენებული ამბავი დაუბეჭდია.

**

„Юридическая Газета“-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ტფილისის სამოსამართლო პალატის შესახებ. გაზეთი ამბობს, რომ, როგორც შეიტყეთ, ტფილისის სამოსამართლო პალატას კიდევ რამდენიმე წევრი მიემატებოო, რასაც ჩვენც საჭიროდ ვთვლითო. ეს ამბავი მით უფრო სასიამოვნოა, რომ ეხლა, იმედია

პალატა შეიძლებს არა მხოლოდ ზოგიერთებისა, არამედ ყველა საქმის განხილვას, მისდა გასარჩევად წარდგენილს. აქამდე-კი ასე არ იყო. პალატა ძლივს ასწრობდა მარტო პატიმართა საქმის განხილვას, სხვა საქმენი-კი მთელის წლითით განუხილველი და გაუსინჯავი ეწყო.

აი ამის დასასაბუთებლად წერილის ავტორს რა ამბავი მოჰყავს:

შემხვდა ერთი ნაცნობი, რომელსაც ტფილისის ოლქის სასამართლომ ამ სამიოდე წლის წინად ათის თვეის საპატიმროდა და ზოგიერთის უფლებისა და უპირატესობის (მე-50 მუხ. თანხმად) ჩამორთმევეთ გადუწყვიტა; ეს კაცი თავდებით იყო განთავისუფლებული და ოლქის სასამართლოს მიერ განჩენილი სასჯელი სისრულეში არ მოჰყვეთ, რადგან განაჩენი ძალაში არ არის შესულო, ამ კაცმა საჩივარი აპელაციით პალატაში გადიტანა. ჩემის აზრით, მისი საჩივარი ყოველსავე სიმართლეს მოკლებული იყო, რადგან დანაშაული თვითვე აღიარა სასამართლოს და ესეც არ იყოს, სასჯელიც, დანაშაულიც, დანაშაულის შესაფერად, ძალიან მცირე ჰქონდა გაჩენილი. ამ გვარად, არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდა იმისი, რომ პალატა შემმსუბუქებს სასჯელსო. ყურადღებას ვადეგენებდი იმის საქმეს და ვკითხე, თქვენი საქმე როგორ მიდის-მეთქი პალატაში, და აი რა გვიპასუხეს:

მანიფესტს ველოო.

როგორ მოგწონთ ეს პასუხიო? კითხულობს ბატონი. კარგი მართალმსაჯულება არა არის, როდესაც საპატიმროში დამწყვდევს გადაწყვეტილს აპელაციით საჩივარი პალატაში გადააქვს და რამდენსამე წლით საქმე ახიახებს იმ იმედით, რომ ყოველად უმოწყალესი მანიფესტი მომეცეს და გადავრჩები სასჯელის გადახდასა?!.

**

პეტერბურგში ურიებმა დააარსეს თავიანთი სინაგოგა. ამ ამბის გამო გაზეთი „Восходъ“ სწერს:

ებრაელთა ეკკლესიის აგება რუსეთის სახელმწიფოს სატახტო ქალაქში გამარჯვების დროშაა არა მარტო ებრაელთათვის. ეს დროშა დროშაა პროგრესის და ჰუმანიზმის გამარჯვეებისა იმ ბრძოლაში, რომელიც მას მედამა აქვს ცრუ მორწმუნეობასთან და იმ ხალხთან, რომელიც ებრძვის სინათლესა და პროგრესსა. ერთის სიტყვით, ებრაელთა სინაგოგა პეტერბურგში ხელთ უქმნელი მოწმობაა იმისი, რომ ნამდვილი სულიერი და ზნეობრივი პრინციპები შეურყეველი და უძლეველია. საჯარო და თავისუფალი ღვთის მსახურება ებრაელთა საჯარო ეკკლესიაში საყურადღებო მოსასმენი უნდა იყოს რუსეთის იმ წარმომადგენელთათვის, ვინც-კი მოისურვებს თითონ გაიცნოს ებრაელთა სარწმუნოება და არ ენდობა გაზეთებისა და ჟურნალების იმ ბღაჯნელთი, რომელნიც ვინ იცის რას იგონებენ გაუნათლებელ ხალხის გასართობად და მათ ცნობის მოყვარეობის ვითომდა დასაკმაყოფილებლად.

გუბერნატორთა მოხსენებანი მოუსავლობისაგან ნათესების დაზღვევის შესახებ.

ამა წლის 18 ივნისს შინაგან საქმეთა ძინისტრის განკარგულებით ევროპაში მდებარე რუსეთის 49 გუბერნატორს გაეგზავნა პროექტი შესახებ იმისა, შემოღებულ იქმნას, თუ არა ამ გუბერნიაში ნათესების დაზღვევა მოუსავლობისაგან.

გუბერნიებში ამ საქმის განსახილველად შესდგა საგანგებო კომისიები გუბერნატორთა თავმჯდომარეობით და საგუბერნიო თავად-აზნაურთა წინამძღოლთა საერო მმართველობათა უფროსებისა და გუბერნატორის მიერ არჩეულ კაცთა თანადასწრებით.

აღმოჩნდა, რომ უმეტესი ნაწილი გუბერნატორთა წინაადმდეგი ყოფილა მოუსავლობისაგან ნათესის სავალდებულო დაზღვევისა.

ხოლო ხუთიოდ გუბერნატორმა მოიწონა ზემოხსენებული პროექტი.

კურსკის გუბერნიის კრებამ გადასწვიტა, უუქველად საჭიროა ნათესის დაზღვევაო. ამ საქმის განსახორციელებლად საჭიროა: გლეხობას შეეფაო ი მიეცეს გარდასახადის აკრებაში; რაც შეიძლება მეტად შემცირებულ იქმნას დაზღვევის პრემია; დაზღვეულ ნათესებში ფული გლეხებს უნდა გამოეკითვათ იმ რიგითა და წესით, როგორც სახელმწიფო გარდასახადი ერთმეეთ; მოსავლის დასაზღვევ ფულში არ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ნედიმეა გლეხთა გარდასახადისა; გარდა ამისა ერთისა და იმავე დროს არ უნდა იყოს შემოღებული სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევა.

ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნატორის აზრით აწინდელი სისტემა ხალხის საზრდოებისა სრულიად და სავსებით უნდა შეიცვალოს. ნათესების დაზღვევა იმავე წესითა და რიგით უნდა იყოს, როგორც საერთაერთო დახმარება. დასასრულ ამ გუბერნატორის სიტყვით საჭიროა სავალდებულო დაზღვევის გარდა შემოღებულ იქმნას ნებაყოფლობითი დაზღვევაც.

ორიოლის გუბერნიის კრებამ ერთხმად გადასწყვიტა, ნათესის დაზღვევა მოუსავლობისაგან ფრიად სასარგებლო საქმე იქმნებაო. ასეთივე აზრი გამოთქვეს სარატოვისა და ხარკოვის გუბერნატორთა საბჭოებმა.

რუსეთი

გაზ. «Биржевыя Вѣдомости»-ს სიტყვით, ფინანსთა სამინისტროსთან დაარსებულს განსაკუთრებულს კომისიას, ანტონოვიჩის თავმჯდომარეობით, 13 დეკემბერს უკვე დაუმთავრებია პროექტი წვრილმან სახალხო სესხის გაცემის შესახებ. მოწონებულია სამგვარი საკრედიტო დაწესებულება: სასოფლო საზოგადო ბანკები, რომელსაც შეუძლიან სესხად ფული გარეშე კაცთაც აძლიოს; გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობანი, ხვედრის ფულით შემდგარნი, და წვრილნი საურთიერთო კრედიტის საზოგადოებანი. ფულს შეტანა მხოლოდ ხანგრძლივის ვადით შეიძლება. სესხად შეუძლიანთ გასცენ ერთს კაცს არა უმეტეს 150 მან., ხოლო საზოგადოებათა და დაწესებულებათ —500 მანეთისა. ხანგრძლივის ვადით გატანილი სესხი ხუთს წელი-

წადზედ მეტით არ უნდა იყოს გაცემული. სარგებელად 12% დადებული. ამ ახალ დაწესებულებათ უფლება ეძლევათ საკომისიო საქმეებიც იკისრონ და მსესხებელთათვის შეძინონ საწარმოებელი ნივთეულობანი და გაჰყიდონ იმათი ნაწარმოები. მოგება 8% არა უმეტესი განაწილებულ იქმნება აქციის მქონე წევრთა შორის; დანარჩენ ორ დაწესებულების ნოგება უნდა მოხმარდეს იმათსავე განკარგებასა და გაუკეთესებას. ამ დაწესებულებათა ფულის შესახებს საჩივარს უპირატესობა მიეცემა სხვა დაწესებულებებთან შედარებით. ახალ დაწესებულებათა საერთო ზედამხედველობა დაკისრებულ ექმნებათ განსაკუთრებულ ინსპექტორებს, რომელნიც ადგილობრივ სახელმწიფო ბანკის სამსახურში იქმნებიან.

—

გაზეთ „Врачъ“-ში დაბეჭდილია წერილი ერთის ექიმისა პეტერბურგში ხოლერის გაძლიერების შესახებ. ავტორს მოჰყავს ზოგიერთი ცნობანი, რომლებიდგანაც სჩანს, რომ ხოლერით უფრო მეტი ხალხი მათში გამხდარა, ვინც შუაგულ ქალაქში სცხოვრობს და იმიტომ ქალაქის წყლის მილის წყალსა ჰხმარობს და ადვილად შესაძლებელია, მილის წყლის ქარხანა გაფუჭებული იყოს და ამიტომ წყალს ვეღარა სწმენდავდეს. ხალხსა ჰგონია, წყალის დასაწმენდი მანქანა წყალს კარგადაც სწმენდავსო და ამიტომ აუდუღარსა სვამს. საჭიროა ქალაქის გამგეობამ გასინჯოს მილის წყალის მანქანა და კარგად გიმოიკვლიოს, გაფუჭებულია, თუ არა ეს მანქანა. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ გამგეობამ აქამდე ვერ მოისაზრა ამ მანქანის გასინჯვა. 24 ნოემბერს და კიდევ ხუთიოდ დღეს მეტად დიდი ყინვები დაიჭირა და იქნება მილი გაიყინა?

იმავე გაზეთის რედაქტორი პროფესორი ვ. მანასეინი დასძენს ამ წერილს: არა მგონია, რომ ამ საქმეში მილის ფილტრი რამ შუაში იყოს.. რით აიხსნება მაშინ ის მაგალითი, რომ ნიკოლოოზის ინსტიტუტში ხოლერით ავად გახდა 20 მოსამსახურე და სულ ქლები. მიზეზი მხოლოდ ის უნდა იყოს, რომ ქლები შიგ ინსტიტუტშივე სადილობენ და რადგანაც მაშინ მარხვა იყო, თევზით იკვებებოდნენ. ხოლო კაცები-კი ცალკე სადილობდნენ და თევზი არ უჭამიათ. საჭიროა ამიტომ ქალაქის პოლიციამ დიდი ყურადღება მიაქციოს გასასყიდ თევზსა და ქალაქის ექიმებმა გასინჯონ კიდეც.

უცხოეთი

იტალია. როგორც მოსალოდნელიც იყო, კრისპის დეკლარაცია საპარლამენტო წრეებში არ მოეწონათ. ყველა გააოცა იმ გარემოებამ, რომ ახალი მინისტრ-პრეზიდენტი ერთს სიტყვასაც არ ამბობს იტალიის გარეშე პოლიტიკისა და სამინისტროს საფინანსო პროგრამის შესახებაო. უმწვერვალესმა მემარცხენე დასმა აღნიშნა კიდეც ეს გარემოება. 8 დეკემბრის პალატის კრებაზედ რადიკალთა ერთმა დეპუტატმა სთქვა, ვეთანხმები კრისპს, რომ იტალია სახუმრო მდგომარეობაში არ იმყოფება, მაგრამ ამას ისიც უნდა დავუთრთო, რომ იტალიის ერთიანობას შიშს არაფერს უქადის. აწინდელ მდგომარეობის აბაილებლად-კი ყოველთ უწინარეს საჭიროა შეიცვალოს ჩვენის ქვეყნის გარეშე პოლიტიკა და ფული დაზოგვილ იქმნას, სხვათა შორის მეფის ხარჯად გადადებული ფულის შემცირებითაო. მე წინააღმდეგი ვარ კრისპის იმ სურვილისა, რომ ხალხს კიდევ ახალი გარდასახადი დაეწეროსო. ასეთივე აზრი გამოსთქვეს რადიკალთა ორმა მა სხვა დეპუტატმა კავალოტტიმ და კოლონიანმ. ამ უკანასკნელმა პირდაპირ მოსთხოვა პასუხი კრისპის, შეგვატყობინე, გაქვს თუ არა განზრახვა საჭირო ღონისძიებანი იხმარო სიცილიის საქმეთა განსარიგებლადაო. კრისპმ პირდაპირი პასუხი არ მისცა. მან განაცხადა, რომ ეხლა დრო არ არის მთავრობის პოლიტიკის შესახებ ავსტეხოთ კამათი, რადგან სამინისტროს განზრახვა აქვს ზოგიერთი ცვლილებანი შემოიღოს, რომელთა განსახორციელებლადაც საჭიროა დახმარება ყველა დასისაო. რაც შეეხება გარეშე პოლიტიკას, იმის შესახებ ჩემს დეკლარაციაში იმითომ არა ვსთქვი-რა, რომ ეხლა ყველას ყურადღება შინაგან საქმეებზედ უნდა იყოს მიქცეული; ესეც არ იყოს, ამ საგნის შესახებ ჩემი აზრი ყველამ უწყისო. ეს აზრი ის არის, რომ მეგობრული კავშირი გვქონდეს ყველა ერთან და პატივისცემა ხელშეკრულობათაო. სიცილიის გამო განაცხადა კრისპმა, მეც საჭიროდა ვსთვლი, რომ კანონმდებლობამ დახმარება გაუწიოს ერს; მიყვარს მუშანი და იმითი ამხანაგობანი, მაგრამ ისეთს ამხანაგობას-კი უარ-ვყოფ და დეგნასაც დავუწყებ, რომელიც არსებულ დაწესებულებათა შერყევას არიან მოწადინებულნი.

გასართობი

ერთმა ქიზიყელმა გლეხ-კაცმა ქალაქში ახალი ქალამნები იყიდა, ზურგიდგან შემოიხსნა ყველი და პური, ნახევარი თუნგი ღვინო მოიდგა უალაგო-ალაგას, მიყრუებულს ქუჩაში, გამოშურა ხელადა და იქვე მიეძინა. ერთი კინტო მოადგა, უჩხრიკა მძინარეს ჯიბეები და რომ ვერა უნახა-რა, ახალი ქალამნები შეხსნა და წავიდა. ამ დროს ურემმა გამოიარა, მაგრამ ქიზიყელს ისე ჰქონდა გაშოტილი ფეხები, რომ ურმის გასავლელი გზა აღარ იყო. მეურმემ გამოალვიძა:

— კაცო, წაიღე ეგ ფეხები იქით, ურემი უნდა გავაბაროო.

ქიზიყელმა წამოიწია, დაიხედა ფეხებზედ, და ისევ მიწვა და მეურმეს ზმორვითი უთხრა:

— გაატარე, ძმავ, ეგ ჩემი ფეხები არ არის, მე ახალი ქალამნები მაცვიაო.

**

ერთმა მეეტლემ უჩივლა მოხუცებულს, ძველის დროის სომეხს, ეტლითი ვატარე და ფული არ მომცაო. მანვის ედავებოდა. ორივე სასამართლოში დაიბარეს.

— აი, ეს მეეტლე გიჩივის, რომ ფული არ მიგიციაო, უთხრა მოსამართლემ.

— რა მმართებს, რა უნდა მივცეო, უპასუხა სომეხმა:

— როგორ თუ რა გმართებს, ორჯერ არ გატარე ეტლითო?

— აი, როგორ იყო საქმე, ბ-ნო მოსამართლეო: ამალლების ეკლესიასთან ჩავჯექი ეტლში, აბანოში მიედიოდი, ბოხჩა მომქონდა თან. მიმიყვანა აბანოს კარეზთან და ათი შაურის თხოვნა დამიწყო. მე ვუთხარი, არა, მამავჯან, მე შენთან ლაპარაკისა და ჩხუბის თავი არა მაქვს, ისევ იქავე წამიყვანე, საიდგანაც მომიყვანე-მეთქი. ისე უბ-ნებლად ჩავჯექეი ეტლში და უკანვე ამიყვანა ამალლების ეკკლესიასთან სოლოლაკში. იქ რომ მივედი, მეორე ეტლი დავიჭირე ხუთ შაურად, აბანოში წავედი და ვიბანავე კიდეც. აბა რაში უნდა მივცე ფული, მაგის წაყვანის დროს ზომ არ მიბანავნია?!..

მოსამართლემ ეს საბუთი არ შეიწყნარა და საბრალოს მიუსაჯა ფულის გადახდა.

**

ერთი ქართველი კაცი საშინელი ბაქია იყო და ყოველთვის კვეხულობდა ხოლმე, ქართულს ენაზედ წიგნი არ მოიპოვება, რომ არ წამეკითხოსო, თუმცა-კი სულ ორი-სამი წიგნიც არ წაეკითხა. ერთხელ ერთმა იმის ამხანაგმა სასაცილოდ ჰკითხა:

— ანტონ ფურცელაძის მოთხრობა „მაცი ხეტია“ წაგიკითხავსო?

— რასაკვირველია, წამიკითხავს.

— მაშ გემახსოვრება რითი თავდება ეს მოთხრობა

— როგორ არ მახსოვს: იმითი თავდება, რომ მაცისგერეანზედ იწერს ჯვარსაო.

გამოსაძებელი ცნობა

—

სოლიტერის *) წამალი. ეს უბრალოდ და ფრანდ სადა წამალი ქოქესის კეკლაა. პროფესორი პარეზი ამბობს, რომ ეს საშველებე ძალიან კარგად ჭშეუძლია მუდლის გრძელ ჯის დაგდებინებასა და ჩემს თავზედეკ მაქვს ნაცადი. ერთსულ ბაბუფიდგან მოკვდიდი, გუსაზედ დიდა ადარანსა, სიუზმის მაგიერად, ქოქესის კეკლა შეეჭამე და ქოქესასეკე რმე დაკვდე. მეორე დღესვე გრძელი ჯია დასაგდებინა ამ წამალმა ბუდიანანდა და თაკიანად

დეპეშა

21 დეკემბერი

პეტერბურგი. სამეურნეო სამინისტროში არსდება განყოფილება სასოფლო ეკონომიისა, სასოფლო სამეურნეო სტატისტიკისა, შინა ხელსაქმის კომიტეტი, მიწად-მოქმედების განკარგების განყოფილება და მინისტრის კანცელარია; დანარჩენნი დაწესებულებანი სხვაფრივ იქმნება მოწყობილი.

რომი. სიცილიიდგან დეპეშით იუწყებიან: იმ მუშებმა, რომელნიც კასტელვეტრანოს გზის გაყვანაზედ ჰმუშავობენ, დასწეს დარაჯის სადგური, ორი საბაჟო ხიდი, საბაჟო ბიურო, გარდასახადთა შემკრების ბიურო, რეგისტრატურა და მომრიგებელ-მოსამართლეს სადგომი. ცეცხლი ჯარმა ჩააქრო; მეამბოხეებმა საპატიმროდგან განთავისუფლეს პატიმარნი, რომელნიც ამ რამდენისამე დღის წინად იქმნენ დაპატიმრებულნი. ადგილობრივმა მთავრობამ შეიძლო მხოლოდ დაცვა პალატისა, ბანკისა და ფოსტა-ტელეგრაფისა. მეამბოხეთ დიდის სამხიარულო კიჟინითა და ამბით დაჰქონდათ მეფის სურათი. დაპატიმრებულნი ბევრნი არიან; კასტელვეტრენოში ჯარი იგზავნება; იქავე მიდიან პრეფექტი და სამეფო ბრალმდებელი.

ათინა. იმ ყუმბარაში, რომელიც დეპარტამენთა პალატის აივანზედ ისროლეს, დინამიტი ღიმოჩნდა, მაგრამ ძალიან მცირედ. გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ ყუმბარა იმათი ნასროლი იქნება, რომელთაც ენდათ საპოლიტიკო კრიზისი გამოიწვინონო.

ლონდონი. იოკაჰაშიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ იაპონიაში დიდი საპოლიტო გაჭირვებაოა; პარლამენტის მოქმედების დაწყების დროს, 17 დეკემბერს, დეპუტატნი დიდად ღელავდნენ. მთავრობამ პარლამენტის სხდომა 31 დეკემბრამდე გადასდო. გუშინ გამოვიდა ბრძანება პარლამენტის დათხოვნისა. ცხარე საარჩევანო ბრძოლას მოელიან.

პეტერბურგის ბირჟა, 17 დეკემბ.

	მოთხოვნა	გაყიდვა	ბოლო
	ფან. კ.	ფან. კ.	ფან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო	7,55	7,57	— ,,
ტამოჟნის კუპონები	151	151½	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მიმაბმელი ბილეთი	— ,,	— ,,	246¾
— მეორისა		— ,,	220
4% მესამე სესხისა	— ,,	— ,,	— ,,
ს